ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1138650

ნომერი: AR1198278

თარიღი : 18.02.2014

გაცემის თარიღი : 24.02.2014

გაცნობის თარიღი : 26.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფეიქრების ქუჩა N14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბიძინა პეტრიაშვილი პ/ნ 01019048632
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 34 კორ. 1 ბ. 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების

თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, ფეიქრების ქ.#14ა–ში, შპს "სისტემა სერვისი"–სა და სს "ქალაქგაფორმების" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსებას. თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური". "მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.19.004.015; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობების დატანით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, ფეიქრების ქ.#14ა–ში, შპს "სისტემა სერვისი"–სა და სს "ქალაქგაფორმების" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობის განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge